როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის

ლიტერატურა

არჩევითი გამოცდა

გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება. აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი ---------- 5
საგამოცდო პროგრამა ---------- 6
საგამოცდო მოთხოვნები ---------- 8
ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები
I. ქართული ლიტერატურა
ა) დავალებების ნიმუშები ---------- 8
ბ) შეფასების კრიტერიუმები ---------- 17
II. მხატვრული ტექსტის ანალიზი
ა) დავალებების ნიმუშები ---------- 21
ბ) შეფასების კრიტერიუმები ---------- 28

შესავალი

წინამდებარე კრებული განკუთვნილია მათთვის, ვინც 2023 წელს აპირებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნად ლიტერატურის ჩაბარებას. კრებულში მოცემულია საგამოცდო პროგრამა ლიტერატურაში და საგამოცდო მოთხოვნები; ტესტური დავალებების ნიმუშები, რომლებიც დაჯგუფებულია დავალებების ტიპების მიხედვით და ამ დავალებების შეფასების კრიტერიუმები.

შეგახსენებთ, რომ ლიტერატურის 2023 წლის საგამოცდო ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: **I. ქართული ლიტერატურა** (მაქსიმალური ქულა 40), რომელშიც მოცემული დავალებებით მოწმდება საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების ცოდნა და ამ თხზულებების ცალკეული მონაკვეთების ადეკვატური გაგებისა და გააზრების უნარი, კერძოდ, აბიტურიენტს მოეთხოვება ამა თუ იმ ნაწარმოების ფაბულისა თუ ცალკეული ეპიზოდების გახსენება, პერსონაჟის ხასიათის ანდა ქცევის მოტივაციის გააზრება და სხვ., აგრეთვე, ტექსტის მოყვანილი მონაკვეთის არსისა თუ ცალკეული სიტყვისა და ფრაზის მართებული გაგება. დავალებები შეიძლება იყოს ერთქულიანი, ორქულიანი, სამქულიანი და ა. შ. (ყოველი მათგანის რიგითი ნომრის მარცხენა მხარეს ფრჩხილებში მითითებული ციფრი აღნიშნავს დავალების მაქსიმალურ ქულას, რომლის მიღებაც შეუძლია აბიტურიენტს ამ კონკრეტული დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში); **II. მხატვრული ტექსტის ანალიზი** (მაქსიმალური ქულა 30) ამ დავალებით მოწმდება მხატვრული ტექსტების (ან მათი ნაწყვეტების) შედარებითი ანალიზის უნარი კონკრეტული სამი მითითების მიხედვით. საანალიზოდ მოცემული ორი ტექსტიდან, ერთი არასაპროგრამოა, ხოლო მეორე შეიძლება იყოს როგორც საპროგრამო, ასევე არასაპროგრამოც.

2023 წელს ლიტერატურის ტესტის მაქსიმალური ქულაა 70, გამოცდისათვის განკუთვნილი დროა 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

2023 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა

ლიტერატურაში

საკითხთა ჩამონათვალი:

1. მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურათ-მცოდნეობითი ტერმინები	დრამა, ეპოსი, ლირიკა; პოეზია, პროზა; ანდაზა, აფორიზმი, ბიოგრაფია, ელეგია, თქმულება, იგავ-არაკი, კომედია, ლეგენდა, ლექსი, მემუარი, მითი, მოთხრობა, მუხამბაზი, ნოველა, პიესა, პოემა, პუბლიცისტიკა, რომანი, სონეტი, ტრაგედია, ტრიოლეტი, შაირი; აბზაცი, ეპიგრაფი, ეპილოგი, თემა, იდეა, კომპოზიცია, პროლოგი, რითმა, რიტმი, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ფაბულა, ფინალი; დიალოგი, მონოლოგი, პერიფრაზი, ციტატა; ლირიკული გმირი, პეიზაჟი, პერსონაჟი, პორტრეტი; ალეგორია, ალიტერაცია, ალუზია, გაპიროვნება, გროტესკი, ეპითეტი, ირონია, იუმორი, მეტაფორა, მოტივი, სარკაზმი, სატირა, ტროპი, შედარება, ხატოვანი თქმა, ჰიპერბოლა; მხატვრული ენა, მხატვრული სახე.
2. ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები	სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.
3. იაკობ ხუცესი	„შუშანიკის წამება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
4. იოვანე საბანისძე	„აბო თბილელის წამება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
5. გიორგი მერჩულე	„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
6. შოთა რუსთველი	„ვეფხისტყაოსანი“ („ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა ნ. ნათაძისა): „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირამდე“, „დასასრული“.
7. სულხან-საბა ორბელიანი	„სიბრძნე-სიცრუისა“, მემკვიდრის აღზრდის ამბავი; ლეონის თავგადასავალი. იგავ-არაკები: „მეფე ხორასნისა“, „ძუნწი და ვაჭარი“, „უგუნური მცურავი“, „სამნი ბრმანი“, „მეფუნდუკე და დიდვაჭარი“.
8. დავით გურამიშვილი	„დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“, „ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი“, „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დავით გურამისშვილის ლეკთაგან დატყოება“, „ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, ამისი მოთქმა დავითისაგან“, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“, „შველა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში“, „დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“.
9. ალექსანდრე ჭავჭავაძე	ლექსი „გოგჩა“.
10. გრიგოლ ორბელიანი	ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „საღამო გამოსალმებისა“, „პასუხი შვილთა“.
11. ნიკოლოზ ბარათაშვილი	ლექსები: „არ უკიჟინო, სატრფოო...“, „მერანი“, „ცისა ფერს“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ვპოვე ტაძარი“; პოემა „ბედი ქართლისა“.

12. ილია ჭავჭავაძე	ლექსები: „ბედნიერი ერი“, „პასუხის პასუხი“, „ჩემო კალამო“; პოემები: „განდეგილი“, „აჩრდილი“ – VII თავი; მოთხრობები: „კაცია-ადამიანი?!“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“; სტატია „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“
13. აკაკი წერეთელი	ლექსები: „აღმართ-აღმართ“, „განთიადი“, „სულიკო“, „ქებათა ქება (სხვებმა სვან ღვინო...)“; პოემები: „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“.
14. ალექსანდრე ყაზბეგი	მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.
15. ვაჟა-ფშაველა	ლექსები: „ჩემი ვედრება“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „კაი ყმა“, „იას უთხარით ტურფასა“; პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“; მოთხრობა „ამოდის, ნათდება“; პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.
16. დავით კლდიაშვილი	მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.
17. ნიკო ლორთქიფანიძე	მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“.
18. კონსტანტინე გამსახურდია	რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.
19. მიხეილ ჯავახიშვილი	რომანი „ჯაყოს ხიზნები“.
20. პოლიკარპე კაკაბაძე	პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ (I და IV მოქმედებები).
21. გალაკტიონ ტაბიძე	ლექსები: „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „თოვლი“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“, „მშობლიური ეფემერა“.
21. ტიციან ტაბიძე	ლექსები: „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“.
23. პაოლო იაშვილი	ლექსი „პოეზია“.
24. გიორგი ლეონიძე	ლექსები: „ნინოწმინდის ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“.
25. გურამ რჩეულიშვილი	მოთხრობა „ალავერდობა“.
26. ანა კალანდაძე	ლექსი „მკვდართა მზე ვარ“.
27. ჯემალ ქარჩხაძე	მოთხრობა „იგი“.
28. გურამ დოჩანაშვილი	მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

საგამოცდო მოთხოვნები

აბიტურიენტს მოეთხოვება:

- ნაწარმოების თემისა და იდეის, მოტივების, ცალკეული დიალოგებისა თუ მონოლოგების, მხატვრული სახეების, სიტუაციის, კოლიზიის არსისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის ადეკვატური გააზრება;
- ლიტერატურული ტექსტის ცალკეულ კომპონენტთა და სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებს შორის კავშირების დამყარება; მათ შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მიგნება და შედარებითი ანალიზი;
- მწერლის ენის, სტილის ძირითადი თავისებურებებისა და გამომსახველობითი საშუალებების სწორად აღქმა და გააზრება;
- ლიტერატურული ტექსტისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა;
- ტექსტში აღწერილ მოვლენათა ისტორიული კონტექსტის გააზრება;
- ტექსტებში აღწერილი რეალიების, ტოპონიმების (გეოგრაფიულ ადგილთა სახელების) ცოდნა;
- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებულ მწერალთა ბიოგრაფიების ძირითადი მომენტების ცოდნა.

ლიტერატურის საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- საგამოცდო პროგრამაში შეტანილ ნაწარმოებთა სიუჟეტების (მოვლენების, ფაქტებისა და მათი თანამიმდევრობის) ცოდნა;
- პერსონაჟების შესახებ ტექსტში მოცემული ინფორმაციის (პორტრეტი, თავგადასავალი, ავტორისეული დახასიათება და სხვ.) ცოდნა;
- სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მიგნებისა და შედარებითი ანალიზის უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერითი მეტყველების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები

I. ქართული ლიტერატურა

ა) დავალებების ნიმუშები:

(1) 1. იაკობ ხუცესი თხზულებაში „შუშანიკის წამება“ აღწერს, თუ როგორი თანაგრძნობა გამოხატა ხალხმა ნაწამები დედოფლის მიმართ, როცა ის ციხეში მიჰყავდათ.

რა მოიმოქმედა ვარსქენმა, როცა იხილა „ამბოხი იგი და ტირილი მამათაი და დედათაი, მოხუცებულთა და ყრმათაი“?

(1) 2. გაიხსენეთ იაკობ ხუცესის თხზულება „შუშანიკის წამება“.

რა რეაქცია ჰქონდა ვარსქენ პიტიახშს, როცა შუშანიკმა *„განყარა ხელი და ჭიქაი იგი პირსა შეალეწა...“?*

(2) 3. იოანე საბანისძის თხზულებაში „აბო თბილელის წამება“ აბო მაცხოვრის სიტყვებს იხსენებს: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ხვიმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაითა ჰნათობდეს ყოველთა“.

1. რატომ შეახსენა აბომ ეს სიტყვები აფხაზთა მთავარს?
2. რის თქმა სურდა აბოს ამ სიტყვებით?

(2) 4. თხზულებაში „აბო თბილელის წამება“ დამსმენები თბილისის ამირას აბოს შესახებ ეუბნებიან: „და აწ დაუტევებიეს შჯული ესე ჩუენი და იტყვის თავსა თვისსა ქრისტიანედ და უშიშად ვალს ქალაქსა შინა...“

1. რას გულისხმობენ დამსმენები სიტყვებში: *„შჯული ესე ჩუენი...“?*
2. გაიხსენეთ, რისი ეშინიათ დამსმენებს, რის გამოც აბოს დასჯას მოითხოვენ?

(2) 5. თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ აღწერილია, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ხანძთაში გრიგოლ მღვდელი და ხუედიოს ბერი, რომელმაც ასე მიმართა სტუმარს:

„– წმიდაო ღმრთისაო, დაღაცათუ დღითა უმრწემეს ხარ, საქმით კულა უხუცეს ხარ ჩემსა, რამეთუ შენ იყო მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყველთა საცხოვართა ქრისტეისთაი“.

1. რას ნიშნავს სიტყვები: *„დაღაცათუ დღითა უმრწემეს ხარ, საქმით კულა უხუცეს ხარ ჩემსა...“?*
2. გაიხსენეთ, რა მიზნით მივიდა გრიგოლი ხანძთაში?

(2) 6. თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გრიგოლი მიმართავს „სიძვის დედაკაცს“:

„– რაისათვის შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რაითმე მიზეზითა საბრხე ქმნულ-ხარ დიდისა ხელმწიფისადა?!“

1. გრიგოლ ხანძთელის თქმით, რა მოელის *„სიძვის დედაკაცს“,* თუ იგი ხელმწიფეს არ დაშორდება?
2. გაიხსენეთ, რა უპასუხა ქალმა გრიგოლს?

(6) 7. გაიხსენეთ ეპიზოდი „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელშიც ნესტან-დარეჯანის საძებრად წასული ავთანდილი გზად მექარავნეებს შეხვდა:

1. ვისგან შეიტყვეს მექარავნეებმა, რომ ზღვაში მეკობრეები იყვნენ?
2. რა იგულისხმება ავთანდილის სიტყვებში: *„ვინცა ჭმუნავს, ცუდია და ცუდად სცთების!“?*

3. ავთანდილის აზრით, რით განსხვავდება ვაჭარი რაინდისაგან?
4. რა მხატვრული საშუალებაა: *„ერთმანერთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა...“*?
5. ავთანდილი ერთგან ამბობს: *„მე, გლახ, რა ვარ? მიწა ცუდი; თავით ჩემით რამცა ვქმენი?“* მისი აზრით, ვისი შემწეობის გარეშე ვერ გაიმარჯვებს ადამიანი?
6. რა სთხოვა ავთანდილმა მექარავნეებს?

(6) 8. გაიხსენეთ ეპიზოდი „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელშიც თინათინის გამეფებაა აღწერილი.

1. რა მიზეზი დაასახელა როსტევანმა, როცა ვეზირებს თინათინის გამეფების გადაწყვეტილება გააცნო?
2. რით გაამართლეს ვეზირებმა ქალის გახელმწიფება? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც)
3. სატრფოს გამეფების გამო *„ავთანდილს მიჰხვდა სიამე, ვსება სჭირს მის სოქ-ალისა“.* რამ გაახარა ავთანდილი?
4. თინათინის რა თვისებაზე მიუთითებს სტრიქონი: *„მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა“?*
5. რა მოსთხოვა ახალგამეფებულმა თინათინმა თავის გამზრდელს?
6. თინათინმა *„ბრძანა: ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა“.* მამის რომელ რჩევას გულისხმობს თინათინი?

(2) 9. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“ ლეონი ამბობს: „ხელმწიფეთა წინა მდგომი კაცი სანთელია: თავსა თვისსა დასწვავს და სხვათ გაუნათლებს; მეფისა საყვარელსა კაცსა სხვანი სძულობენ და ხრიკითა მასცა შეაძულებენ“.

1. ლეონის რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?
2. გაიხსენეთ, რატომ ამბობს ლეონი ამ სიტყვებს?

(2) 10. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“ სედრაქის შესახებ ნათქვამია: „ხმელთა სიგრძე და განი სრულად განეზომა, მეცნიერებათა ზღვათა უფსკრულთა მიწევნილ იყო, ჰაერთა და ვარსკვლავთა საქმენი გულის ფიცართა გამოეწერა“.

1. სედრაქის რომელი თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?
2. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: *„ზღვათა უფსკრულთა მიწევნილ იყო“?*

(2) 11. წიგნში „დავითიანი“ დავით გურამიშვილი წერს:

„ორგემაგე არს საწუთრო: ხან ნოტიობს, ხან კი გვალავს;
დღეს რომ კარგი წინ გიმძღვაროს, უკან მოგადევნებს ხვალ ავს.
ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისვრის, მშვილდს კი მალავს.
მას დავნატრი, ვინცა სწორედ სვლად საწუთროს გზას გაჰკვალავს“.

1. რას ნიშნავს გადატანითი მნიშვნელობით: *„ხან ნოტიობს, ხან კი გვალავს...“?*
2. ვის შენატრის პოეტი? (ციტირება დაუშვებელია!)

(2) 12. წიგნში „დავითიანი“ დავით გურამიშვილი წერს:

„მე რაც ვშობე, შვილად ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა,
ვზრდი მომღერლად, მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა...“

1. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: *„შვილად ვსჯერვარ“?*
2. რას ნიშნავს სიტყვები: *„სიმღერა არ გამიზარდა“?*

(2) 13. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში „გოგჩა“ ვკითხულობთ:

„აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი;
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!“

1. რა განზოგადებულ დასკვნას აკეთებს პოეტი, როცა ოდესღაც დიდებული ქალაქების ნანგრევებზე საუბრობს?
2. ავტორის აზრით, ვისი მზერა არის დაბრმავებული?

(2) 14. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში „გოგჩა“ ვკითხულობთ:

„ესე კამარა ძლივ საცნობო ყოფილ ტაძარად,
სად კვლავ მეფენი მოწიწებით იდრეკდენ მუხლთა,
სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად,
და ცისა მიმართ გრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა“.

1. ვინ იგულისხმება სიტყვებში *„ცისა მიმართ“?*
2. გაიხსენეთ, რამ გამოიწვია გოგჩის ნაპირზე გაშენებული დიდებული ქალაქის განადგურება?

(2) 15. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ ვკითხულობთ:

„თვითონ მეფენიც, უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..“

1. რა იგულისხმება სიტყვაში *„სოფლად“?*
2. გაიხსენეთ, ადამიანის რა მოვალეობაზე მიუთითებს ავტორი ამ ლექსის ფინალურ ნაწილში?

(2) 16. ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, სწერდა: *„...მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესო ხვედრისკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო!“*

1. ბარათაშვილის როგორი დამოკიდებულება ჩანს მისი იმდროინდელი მდგომარეობის მიმართ?
2. პოეტის რომელი ლექსი ეხმიანება ამ წერილს?

(2) 17. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილში „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ ვკითხულობთ: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შე-ვირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სა-ხელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“.

1. ავტორის აზრით, რა უნდა დაუპირისპიროს ქართველმა უხმლოდ შემოსეულ მტერს?
2. გაიხსენეთ, რატომ აკრიტიკებს ილია ქართველებს სტატიის დასაწყისში, რის იმედად ყოფნას ირჩევენ ისინი?

(2) 18. ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანის?!“ ფინალურ ნაწილში ვკითხულობთ: „ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე – თუ გინდა – მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნებ გენიშნოს რამე... მოყვარესავით გექცევი, – სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?!“

1. რის თქმა სურს ავტორს, როცა თავის მოთხრობას *სარკეს* უწოდებს?
2. რატომ უნდა გაუწყრეს მკითხველი ილიას, როცა ამ მოთხრობას წაიკითხავს?

(2) 19. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავი“.

1. რა შეიტყო წვეულებაზე მეფემ თავისი ხუმარასგან, რამაც ძალიან ააფორიაქა?
2. რა აზრს გამოხატავს მეფის სიტყვები, რომლებიც მან სამსჯავროზე წარმოთქვა:

„ერთ კაცის ნდობა ძნელია,
გინდა გადიქცეს გონებად...“ ?

(2) 20. აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ მეფე დავით კურაპალატი *„სამსჯავროდ შეყრილ“* დარბაზს მიმართავს:

„თორნიკე მხედართმთავარი,

თითქოს ხახვს გვაჭრის ყურზედა,
მოულოდნელად ხელს იღებს
საერო სამსახურზედა“.

1. გაიხსენეთ, რა მიზეზი დაასახელა თორნიკე ერისთავმა, რის გამოც იგი უარს ამბობდა საერო სამსახურზე?
2. რა ჰქონდა განზრახული თორნიკე ერისთავს მხედართმთავრობის სხვისთვის გადაცემის შემდეგ?

(2) 21. გაიხსენეთ ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.

1. ხევისბერი გოჩა შვილს ეუბნება: *„გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“.*
   სად აპირებდა წასვლას ონისე, როცა მამამ ეს სიტყვები უთხრა?
2. რა იყო სამების ტაძარში მოხევეთა ყრილობის გამართვის მიზეზი?

(2) 22. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ ვკითხულობთ: „მოხუცმა კაცმა აანთო წმინდა სანთელი... ახსენა ხეური ჯვარ-ანგელოზები და მიუბრუნდა ონისეს:
– ონისევ! აჰა, ჩაგვიბარებია თქვენთვის ქალი წრფელი და შეურცხვენელი...“

1. გაიხსენეთ, რა პასუხისმგებლობა დააკისრა ძიძიას წინაშე ონისეს მოხუცმა კაცმა?
2. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: *„ქალი წრფელი და შეურცხვენელი“?*

(3) 23. ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“ მთავრდება სტროფით:
„ამბობენ, შააძლებინა
სნეულსო ფეხზე დადგომა;
ეღირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა!“

1. რამ *„შააძლებინა“* ლუხუმს *„ფეხზე დადგომა“?*
2. რამ გამოიწვია ლუხუმის დასნეულება?
3. როგორ განწყობას ქმნის ბოლო ორი სტრიქონი?

(3) 24. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას ლექსი „კაი ყმა“.

1. ავტორის აზრით, პირველ რიგში, სად გამოიცდება *კაი ყმა*?
2. *კაი ყმის* რა თვისება ჩანს სიტყვებში:
   „სხვისი იუბნოს სახელი,
   თავის გარჯასა ჰმალავდეს“?
3. ვის მიმართავს ავტორი ლექსის ფინალურ ნაწილში:

„უქმად ჩამაჭლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა.
დაჰკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა...“?

(2) 25. დავით კლდიაშვილის მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ მეზობლისგან ნათხოვარი დაუძლურებული ცხენით სამგზავროდ გამზადებული პლატონი მეუღლეს ეუბნება:

„ – ფეხ-ფეხა მივყვები, ბატონო, ფეხ-ფეხა მივყვები!.. სირცხვილისათვის მიმყავს, თვარა რა!..“

1. პლატონ სამანიშვილის რა თვისება ჩანს მოცემულ ეპიზოდში?
2. გაიხსენეთ, კონკრეტულად ვისთან მიემგზავრება პლატონი?

(2) 26. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.

1. რატომ მიიჩნევდა სალობერიძეებთან სტუმრად მყოფი პლატონი, რომ ყველასგან *„სამასხაროდ იქნებოდა აგდებული“*?
2. რას ვიგებთ პლატონის შესახებ, როცა ვკითხულობთ: *„დაიწყო ისეთივე ცხოვრება, როგორიც ანტონა ბრეგაძემ“?*

(2) 27. გაიხსენეთ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“.

1. ქართველების რა თვისებას გულისხმობს თეიმურაზი, როცა ამბობს: *„ყველანი ბუნებითვე აზნაურები ვიყავით, ვართ და დავრჩით“?*
2. ბოლშევიკური ხელისუფლების იდეოლოგიის რომელ ასპექტს გამოხატავს ივანეს სიტყვები: *„რწმენა კი არ გავაყოლე ანაფორას, არამედ ანაფორა გავაყოლე რწმენას“?*

(2) 28. მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ ვკითხულობთ: „თეიმურაზი ჯერ გაჩუმდა, შემდეგ გატვრინდა და აიმრიზა. „გაუმარჯოსს“ აღარ გაიძახოდა და აღარც წითელ ბაირაღს იქნევდა... მისი ათი წლის ნაშენები და ნაცოდვილარი წითელმა გოლიათმა ქინძისთავის-ოდენა ლუკმასავით ჩაჰყლაპა“.

1. თეიმურაზ ხევისთავისადმი ავტორის როგორი დამოკიდებულება ჩანს ამ მონაკვეთში?
2. რა იგულისხმება სიტყვებში: *„წითელი გოლიათი“?*

(2) 29. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „შერიგება“ ვკითხულობთ:

„დღეს ყველგან მზეა. ეხლა ამ ბაღებს
და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს,
მაისი ალით ააზამბახებს,
ვით შეყვარებულს და მეოცნებეს.“

1. რა მხატვრული საშუალებაა: *„მაისი ალით აზამბახებს...“*?
2. გაიხსენეთ, რა აქვთ *„ოდნავ მსგავსი“* მყინვარსა და პოეტს?

(2) 30. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „მთაწმინდის მთვარე“ ვკითხულობთ:

„...რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდებ
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენგან ჩემი ქნარი...
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!“

1. ვის მიმართავს პოეტი ამ სტროფში?
2. რას ნიშნავს გადატანითი მნიშვნელობით *„ქნარი“?*

(2) 31. პაოლო იაშვილი ლექსში „პოეზია“ წერს:

„მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება“.

1. ამ სტრიქონების მიხედვით, რას მოითხოვს პოეზიის მსახურება შემოქმედისაგან? (ციტირება დაუშვებელია)
2. რომელი ლიტერატურული დაჯგუფების ერთ-ერთი დამაარსებელი იყო პაოლო იაშვილი?

(2) 32. გაიხსენეთ პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“.

1. რომელი ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებია „ყვარყვარე თუთაბერი“?
2. რას გვეუბნება პერსონაჟის შესახებ მისივე სიტყვები: *„რა გლახაა ხალხის სიბნელე, რამდენიც არ უნდა უჩაჩქუნო თავში, ვერაფერს ვერ შეაგნებინებ“*?

(2) 33. გიორგი ლეონიძის ლექსში „ყივჩაღის პაემანი“ ლირიკული გმირი ამბობს:

„მოდი!
გემახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..“

1. ვის უხმობს ყივჩაღი?
2. რომელი ტექსტის ალუზიაა *„ვარდის ფურცლობის ნიშანი არი“?*

(2) 34. გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში „ალავერდობა“ ნათქვამია: „სექტემბრის ბოლოს ალავერდში გამართული ტრადიციული ქრისტიანული დღეობები საშემოდგომო მოსავლის დიდი

ნაწილის აღებასთანაა დაკავშირებული, ამიტომ ატარებს ის განსაკუთრებით ინტერნაციონალურ ხასიათს“.

1. გაიხსენეთ, რაში მდგომარეობს ალავერდობის ინტერნაციონალური ხასიათი?
2. გაიხსენეთ, რატომ არის მთავარი პერსონაჟისათვის მიუღებელი ალავერდობაზე მისული ხალხის განწყობა?

(2) 35. გაიხსენეთ ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგი“.

1. რა ბედი ეწია შვილთან ბრძოლაში დამარცხებულ ბელადს?
2. რა უნდა გააკეთოს იგიმ, რომ *„მარტოობის შემაშფოთებელი სუნი“* აღარ ეცეს?

(2) 36. ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „იგი“ ბელადს საკუთარი შვილი დაუპირისპირდა:

„შვილი ღონიერი იყო და ბრძოლა მალე დასრულდა. მამა ძირს დასცა, ხელკეტი აიცალა, თავის ხელკეტთან ერთად მაღლა შემართა და დამარცხებულ მეტოქეს ძლევამოსილი ყიჟინით რამდენჯერმე ირგვლივ შემოურბინა“.

1. გაიხსენეთ, რა იყო მამასა და შვილს შორის შეტაკების ძირითადი მიზეზი?
2. გაიხსენეთ, რა ბედი ეწია დამარცხებულ ბელადს?

ბ) შეფასების კრიტერიუმები

1. ცხენზე ამხედრებული ვარსქენი შუშანიკის გულშემატკივრებს დასდევდა და აქეთ-იქით ფანტავდა (აწიოკებდა, აშინებდა).
   ხალხს ცხენდაცხენ დასდევდა ---------- *1ქ.*

2. ვარსქენი განრისხდა და დედოფალს სასტიკად გაუსწორდა.
   სასტიკად გაუსწორდა ---------- *1ქ.*

3. აფხაზთა მთავარი სთხოვდა აბოს, ქართლში არ დაბრუნებულიყო, რადგან თანამემამულეებისაგან საფრთხე ელოდა; აფხაზთა მთავარს ეშინოდა, არაბებს აბო ქრისტეს სარწმუნოებისაგან არ გადაებირებინათ. ადამიანმა საკუთარი რწმენა (პრინციპები) შიშის გამო არ უნდა დამალოს; საკუთარი რწმენის ერთგულებით სხვა ადამიანებს სულიერი ცხოვრების გზა უნდა გაუნათო.
   1. ქართლში დაბრუნებას უშლიდა ---------- *1ქ.*
   2. რწმენა არ უნდა დამალო ---------- *1ქ.*

4. მაჰმადიანურ სარწმუნოებას (ისლამს, მუსლიმთა რწმენას). მას ბევრი მიბაძავს და გაქრისტიანდებიანო (მაჰმადიანობას უარყოფენ და ქრისტინობას ეზიარებიანო).
   1. მაჰმადიანობას ---------- *1ქ.*
   2. მიმბაძველები გამოუჩნდებიანო ---------- *1ქ.*

5. თუმცა ასაკით ჩემზე უმცროსი ხარ, საქმით, პირიქით, უფროსი ხარ ჩემზე. გრიგოლი ხანძთაში იმ მიზნით მივიდა, რომ უფლის ნებით იქ ეკლესია აეგო.

1. მიუხედავად ასაკისა, ჩემზე აღმატებული ხარ ----------*1ქ.*

2. ეკლესიის აგება სურდა ---------- *1ქ.*

6. სულს სამუდამოდ წარიწყმიდავს (სამუდამო ცოდვას დაიდებს). მეფესთან ურთიერთობა ჩემი სურვილი არ არისო (აშოტს ძლიერ ვუყვარვარ და წინააღმდეგობის გაწევა არ შემიძლიაო; არ ვიცი ამ ცოდვას თავი როგორ დავაღწიოო).

1. ცოდვაში ჩავარდება ---------- *1ქ.*

2. მეფესთან ურთიერთობა ჩემი ნება არ არისო ---------- *1ქ.*

7. სიკვდილს შემთხვევით გადარჩენილი უცხო კაცისაგან შეიტყვეს, რომ ზღვაში მეკობრეები იყვნენ. ადამიანმა დრო და ძალა უსარგებლო საქმეში (დარდსა და მწუხარებაში) არ უნდა დაკარგოს; დარდი უსარგებლო საქმეა. ვაჭარი მშიშარაა, ომის უცოდინარი. ჰიპერბოლა. ადამიანი ვერ გაიმარჯვებს, თუ მას ღმერთი არ შეეწევა (როცა ადამიანს ღმერთი მფარველობს, მას ყველაფრის გაკეთება შეუძლია). ავთანდილმა მექარავნეებს სთხოვა, დაემალათ, რომ რაინდი (ჭაბუკი) იყო (ეთქვათ, რომ ვაჭართა მეთაური იყო).

1. ეგვიპტელი ვაჭრისაგან ---------- *1ქ.*

2. ცდება, ვინც დროს მწუხარებაში კარგავს ---------- *1ქ.*

3. ბრძოლა არ შეუძლია ---------- *1ქ.*

4. ჰიპერბოლა ---------- *1ქ.*

5. ღვთის დახმარების გარეშე ---------- *1ქ.*

6. ეთქვათ, რომ ის ვაჭარი იყო ---------- *1ქ.*

8. როსტევანმა მიზეზად სიბერე (ხანდაზმულობა, მოხუცებულობა) დაასახელა. არა აქვს მნიშვნელობა, მეფის შვილი ქალიშვილია, თუ – ვაჟიშვილიო (ხელმწიფედ ღვთისგან არის გაჩენილიო; მეფობა შეუძლიაო; „თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია“; „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“). ავთანდილს თინათინის ხშირად ნახვის საშუალება ეძლეოდა. თავმდაბლობაზე (მოკრძალებულ ხასიათზე, მორიდებულობაზე). ახალგამეფებულმა თინათინმა გამზრდელს თავისი განძეულობის (საგანძურის, საჭურჭლის) მიტანა მოსთხოვა. იყოს გულუხვი ქვეშევრდომთა მიმართ (რასაც გასცემ არაფერი დაგეკარგებაო; სიუხვით ორგულ ადამიანებსაც მოიმხრობო; გაღებული წყალობა უკანვე დაგიბრუნდებაო).

1. სიბერემ მიწიაო ---------- *1ქ.*

2. მართალია, ქალია, მაგრამ მეფობას შეძლებსო ---------- *1ქ.*

3. ხშირად ვნახავო ---------- *1ქ.*

4. თავმდაბლობა ---------- *1ქ.*

5. ჩემი განძეულობა მომიტანეო ---------- *1ქ.*

6. გამოიჩინოს გულუხვობა ---------- *1ქ.*

9. ლეონის ამ სიტყვებში ჩანს მისი გონიერება, წინდახედულება, სიფრთხილე, სიბრძნე. ლეონი ამ სიტყვებს იმიტომ ამბობს, რომ მეფე სასახლის კარზე ყოფნას და მემკვიდრის აღზრდას სთხოვს; ლეონს მეფის კარზე ყოფნა არ სურს.

1. გონიერება ---------- *1ქ.*

2. მეფისათვის უარის თქმა უნდა ---------- *1ქ.*

10. ამ მონაკვეთში ლეონის სიბრძნე (განათლებულობა, ფართო მეცნიერული ცოდნა, ყოვლისმცოდნეობა. დასაშვებია აგრეთვე: გამჭრიახობა) ჩანს; ჰიპერბოლა.

1. ღრმა და საფუძვლიანი განათლება ---------- *1ქ.*

2. ჰიპერბოლა ---------- 1ქ.

11. წუთისოფელი ცვალებადია. პოეტი ისეთ ადამიანს შენატრის, რომელიც წუთისოფლის (ცხოვრების) გზას სწორად გაივლის.

1. წუთისოფელი ცვალებადია ----------1ქ.

2. ვინც ცხოვრების გზას სწორად გაივლის ----------1ქ.

12. საკუთარ შემოქმედებას (პოეზიას; ლექსთა კრებულს; წიგნს, რომლის ავტორიც თვითონაა). თუ ჩემი სიმღერა მოთქმად (გოდებად, ზარად, ხმამაღლა ტირილად) არ მექცა.

1. დავითიანს ----------1ქ.

2. მოთქმა-ვაებად არ მექცა ----------1ქ.

13. პოეტი ასკვნის, რომ ამ ქვეყნად მარადიული არაფერია (ყოველივე ამაოა; ყველაფერს გარდაუვალი განადგურება ელოდება). იმ ადამიანის ხედვა არის დაბრმავებული, რომელიც მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს (რომელსაც წარსულისა და მომავლის განჭვრეტა არ შეუძლია).

1. ყოველივე წარმავალია ---------- 1ქ.

2. ვინც მხოლოდ აწმყოზეა ორიენტირებული ----------1ქ.

14. სიტყვებში: *„ცისა მიმართ“* იგულისხმება ღმერთი (უფალი, უზენაესი ძალა. დასაშვებია აგრეთვე: იესო ქრისტე). დრომ (დროთა მსვლელობამ; დასაშვებია აგრეთვე: ისტორიულმა ქარტეხილებმა, ჟამთა სიავემ).

1. ღმერთი ----------1ქ.

2. დრომ ----------1ქ.

15. სიტყვაში *„სოფლად“* იგულისხმება ამქვეყნიური ცხოვრება (ხილული სამყარო, ფიზიკური ყოფა, სააქაო); პასუხისმგებლობაზე ქვეყნიერების წინაშე (დასაშვებია აგრეთვე: ზრუნვა ერსა და სამშობლოზე).

1. ხილული სამყარო ---------- 1ქ.

2. პასუხისმგებლობაზე თანამედროვეობის წინაშე ---------- 1ქ.

16. პოეტი უკმაყოფილოა თავისი მდგომარეობით; ამ წერილს ეხმიანება მისი ლექსი „ხმა იდუმალი“.

1. უკმაყოფილოა ----------1ქ.

2. „ხმა იდუმალი“ ----------1ქ.

17. უხმლოდ შემოსეულ მტერს ქართველმა შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი უნდა დაახვედროს. ილია ქართველებს იმიტომ აკრიტიკებს, რომ ისინი, ნაცვლად შრომისა, მხოლოდ ღვთის წყალობის იმედად არიან.

1. შრომა და ცოდნა ---------- 1ქ.

2. ღვთის წყალობის ---------- 1ქ.

18. მის მიერ აღწერილი ვითარება რეალურია (მიუკერძოებელია; პირუთვნელი აღმწერია ცხოვრებისა). მკითხველს შეიძლებოდა სწყენოდა მისი ნაკლის საქვეყნოდ წარმოჩენა (ავტორი აღწერს მწარე სიმართლეს).

1. ცხოვრების რეალურ სურათს იძლევა ---------- 1ქ.

2. მოთხრობაში მწარე სიმართლეა აღწერილი ---------- 1ქ.

19. მეფემ წვეულებაზე ხუმარასგან შეიტყო, რომ მთავარსარდალი თორნიკე ერისთავი თავისი მოვალეობის შესრულებაზე უარს ამბობდა (ქვეყნის სამსახურზე ხელს იღებდა). მეფის აზრით, ყველაზე გონიერმა ადამიანმაც კი ერთპიროვნული გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს.

1. თორნიკე ერისთავი საერო სამსახურს ტოვებდა ----------*1ქ.*

2. ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება არასწორია ---------- *1ქ.*

20. თორნიკემ მიზეზად სიბერე (მოხუცებულობა, ხანდაზმულობა) დაასახელა. ბერად უნდა შემდგარიყო (ულუმბოს მთაზე ბერად უნდა აღკვეცილიყო).

1. სიბერე ----------*1ქ.*

2. ბერად უნდა აღკვეცილიყო ---------- *1ქ.*

21. ხევისბერმა გოჩამ ეს სიტყვები შვილს მაშინ უთხრა, როცა შეიტყო, რომ ონისე გუგუას ქორწილში წასვლას აპირებდა. სამების ტაძარში მოხევეების თავშეყრა იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ნუგზარ არაგვის ერისთავმა თავისუფალ მოხევეთა დაპყრობა (დამორჩილება, დამონება) გადაწყვიტა.

1. როცა ონისემ ქორწილში წასვლა გადაწყვიტა ----------*1ქ.*

2. მათს თავისუფლებას საფრთხე შეექმნა ---------- *1ქ.*

22. ონისეს ძიძიათვის ძმობა უნდა გაეწია (ძიძიას პატრონი და ქომაგი უნდა ყოფილიყო). ეპითეტი.

1. ძმობა გაეწია ----------*1ქ.*

2. ეპითეტი ---------- *1ქ.*

23. ლუხუმს ფეხზე დადგომა გველმა შეაძლებინა. ლუხუმის დასნეულება ომში მიღებულმა ჭრილობამ გამოიწვია. ბოლო ორი სტრიქონი ოპტიმისტურ განწყობას ქმნის.

1. გველმა ----------*1ქ.*

2. ნატყვიარმა ---------- *1ქ.*

3. იმედიან განწყობას ---------- *1ქ.*

24. „კაი ყმა“, პირველ რიგში, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიცდება. „კაი ყმა“ თავმდაბალი, მოკრძალებული ადამიანია. ლექსის დასასრულს ავტორი ლაჩარ (მხდალ, ხარბ, შურიან, უსაქმურ) კაცებს (ადამიანებს) მიმართავს.

1. ომში ----------*1ქ.*

2. თავმდაბლობა ---------- *1ქ.*

3. მხდალ ადამიანებს ---------- *1ქ.*

25. ამპარტავნობა (მედიდურობა; პატივმოყვარეობა; ქედმაღლობა). საკუთარ დასთან (დარიკოსთან).

1. კუდაბზიკობა ----------*1ქ.*

2. დასთან ----------*1ქ.*

26. სალობერიძეებთან სტუმრად მყოფ პლატონს სიძემ წამოაძახა, რომ ორნაქმარევ და უშვილო სადედინაცვლოს ეძებდა. პლატონიც ისეთივე გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორშიც ანტონა ბრეგაძე, რომელიც ადრე ეცოდებოდა.

1. მისი საიდუმლო გამჟღავნდა ----------*1ქ.*

2. გაღარიბდა ---------- *1ქ.*

27. თეიმურაზი მიიჩნევს, რომ ქართველი უსაქმურია (მუქთახორაა, ამპარტავანია). ბოლშევიკური ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფდა ღმერთის არსებობას (ებრძოდა მორწმუნე ადამიანებს).

1. სიზარმაცეს ----------*1ქ.*

2. ულმერთობას ----------*1ქ.*

28. ირონიული დამოკიდებულება. სიტყვებში ***„წითელი გოლიათი“*** იგულისხმება ბოლშევიკური ხელისუფლება (დასაშვებია აგრეთვე: კომუნისტური წყობა).

1. ირონიული ---------- *1ქ.*

2. ბოლშევიკური ხელისუფლება ---------- *1ქ.*

29. მეტაფორა. მყინვარსა და პოეტს გვირგვინები ადგათ (ორივე დიადია, ორივე მეფეა, ორივე მწვერვალია, ორივე უკვდავია).

1. მეტაფორა ---------- *1ქ.*

2. გვირგვინოსნები არიან ----------*1ქ.*

30. პოეტებს, რომლებიც მთაწმინდის პანთეონში განისვენებენ (წინამორბედ პოეტებს). პოეტურ შემოქმედებას (პოეტურ სიტყვას. დასაშვებია აგრეთვე: მწერლობას).

1. ქართული მწერლობის კლასიკოსებს ----------*1ქ.*

2. პოეზიას ----------*1ქ.*

31. „ყვარყვარე თუთაბერი“ კომედიური ჟანრის ნაწარმოებია. ამ სიტყვების მიხედვით, პერსონაჟი მოძალადე (ამპარტავანი, ქედმაღალი) ადამიანია.

1. კომედიაა ----------*1ქ.*

2. მოძალადეა ----------*1ქ.*

32. პოეზიის მსახურება შემოქმედისგან მოითხოვს დიდ მსხვერპლს, თავგანწირვას. პაოლო იაშვილმა მეგობრებთან ერთად დააარსა სიმბოლისტური ლიტერატურული დაჯგუფება (გაერთიანება) „ცისფერი ყანწები“.

1. თავგანწირვას ----------*1ქ.*

2. „ცისფერი ყანწების“ ---------- *1ქ.*

33. სატრფოს. „ვეფხისტყაოსნის“.

1. სატრფოს ----------*1ქ.*

2. „ვეფხისტყაოსნის“ ----------*1ქ.*

34. ალავერდობაზე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები იყრიდნენ თავს (ალავერდობას, გარდა ქართველებისა, ჩრდილოკავკასიელებიც სტუმრობდნენ). რელიგიური დღესასწაული თავაშვებულ ღრეობაში იყო გადაზრდილი (დღესასწაული დამთრგუნველ სანახაობად იყო ქცეული. ალავერდობას დაკარგული ჰქონდა თავდაპირველი მნიშვნელობა).

1. ეთნიკურ მრავალფეროვნებაში ----------*1ქ.*

2. ალავერდის ტაძარი ღრეობის ადგილად იყო ქცეული ---------- *1ქ.*

35. ყოფილი ბელადი სიკვდილით დასაჯეს. იგი წელში უნდა მოიხაროს, რომ მარტოობა აირიდოს (სხვებისგან არ უნდა განსხვავდებოდეს).

1. სიკვდილით დასაჯეს ---------- *1ქ.*

2. სხვებს უნდა დაემსგავსოს ----------1ქ.

36. შვილს ბელადობა სურდა (შვილს სურდა, მამის ადგილი დაეკავებინა). ყოფილი ბელადი სიკვდილით დასაჯეს (ყოფილი ბელადი დიდი დაძინების ქარაფიდან გაუჩინარდა).

1. შვილის სურვილი, ბელადი გამხდარიყო ---------- 1ქ.

2. სიკვდილით დაისაჯა ----------1ქ.

II. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

ა) დავალებების ნიმუშები:

1.

მწერალი ივო ანდრიჩი მოთხრობაში „დაკეტილი კარი“ მოგვითხრობს ამბავს, რომელიც გერმანიის მიერ ოკუპირებულ სერბეთში ხდება 1941 წელს:

ინჟინერმა მილან შეპარევიჩმა ხელები დაიბანა, ბავშვებთან შეიხედა და ის იყო სავახშმოდ მოემზადა, რომ ვიღაცამ ზარი დარეკა... კარებში ცოლის ნათესავი პრედრაგი იდგა. ბევრი ბოდიში არ დაუწყია, არც სალმისთვის დაუხარჯავს დრო. მხოლოდ უდროოდ მოსვლისთვის მოიბოდიშა და სთხოვა მასპინძელს, როგორმე ეს ღამე თქვენთან გამათევინეთო.

ცოლი შეკრთა. ქმარს თვალი თვალში გაუყარა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ შემოსულმა ხელი მოჰკიდა ინჟინერს და სასადილო ოთახის განიერი ნიშისკენ წაიყვანა.

ლაპარაკობდა მოკლედ და ხმადაბლა. სადაც ვაპირებდი, იქ შეუძლებელი აღმოჩნდა ღამის გათევა. რა თქმა უნდა, უხერხული იყო ამ უდროო დროს თქვენი შეწუხებაც, მაგრამ სხვა გზა არ მქონდაო.

ლაპარაკობდა მშვიდად, საქმიანად. საშიში არაფერია, პოლიციამ მის თაობაზე არაფერი იცის, მაგრამ ახლა, საპოლიციო საათების შემდეგ, უპასპორტო კაცისთვის ღამის გასათევის ძებნა შეუძლებელია. ეჭვმიუტანელ ოჯახებში პოლიცია იშვიათად დადის და, თუ მივა, არ გაჩხრეკს. თვითონ პრედრაგი ეცდება, მასპინძლებს მოსალოდნელი საფრთხე ააცილოს. დილის ხუთ საათზე წავა თავისი გზით. პრედრაგს არც კი დაემთავრებინა ლაპარაკი, რომ მოთმინებადაკარგული ქალი სწრაფად მიუახლოვდა მათ. იგი ციებიანივით კანკალებდა, ხელები გაშალა და გაცხარებული მოჰ-ყვა ლაპარაკს:

– იცი რა, პეგო, ჩვენი სახლის პატრონი ძალიან ცუდი კაცია, ზემოთაც კიდევ, მე მგონი, არასანდო სტუდენტები ცხოვრობენ. ამათ გამო მთელ სახლს უთვალთვალებენ და ამიტომ არ შეგ-ვიძლია ვინმე შევიფაროთ ისე, თუ პოლიციას არ ვაცნობებთ. მე ხომ შვილების პატრონი ვარ.

– მოითმინე, დანა! უშენოდ მოვაგვარებთ ამ საქმეს, – შეაწყვეტინა ცოლის საქციელით შეწუხებულმა კაცმა.

მაგრამ ქალი არ დამშვიდდა, პირიქით, ხმას უფრო აუწია... უნამუსობაა, ასეთ მდგომარეობაში ჩააყენო სხვისი ოჯახი. ახლა ისეთი დროა, ყველამ საკუთარ თავზე უნდა იზრუნოს, საკუთარ საქციელზე უნდა აგოს პასუხი. მე დედა ვარ და არ მაქვს უფლება საფრთხეში ჩავაგდო შვილების სიცოცხლე, სადაც გინდა იქ წადი, აქ შენი დარჩენა არ შეიძლებაო.

ქმარი ყოველმხრივ ცდილობდა გაეჩუმებინა ცოლი, მაგრამ ამაოდ. და მერე, როცა ორივე გაჩუმდა, ახალგაზრდამ მშვიდად თქვა:

– გამიგეთ, სხვა გზა არა მაქვს, იძულებული ვარ თქვენთან დავრჩე.

მტანჯველი სიჩუმე ჩამოვარდა. ქალი თავზარდაცემული იდგა. ქმარმა მოფერებით დაიყოლია ცოლი და საძინებელში შეიყვანა. ათიოდე წუთის შემდეგ სტუმართან დაბრუნდა და განაგრძეს საუბარი. ახალგაზრდამ გაიგო, რომ სამზარეულოდან გასასვლელი უკანა კიბეც ყოფილა. შემდეგ შემოუსხდნენ მაგიდას. პრედრაგი ცოტას ჭამდა, მაგრამ სწრაფად, ინჟინერი ყბაგაშეშებულივით ღეჭავდა... მერე სტუმარმა თქვა, დაღლილი ვარ და დავწვებიო. გასვლისას ისევ გაიმეორა, არავითარი უსიამოვნება არ მოხდება, ყველაფერი კარგად დამთავრდებაო... გამომშვიდობებისას ინჟინერს რაღაცის თქმა უნდოდა, პირი გააღო, ხელით უნებური მოძრაობა გააკეთა, მაგრამ უეცრად შემობრუნდა და გავიდა.

ცხრა საათი იყო, როცა საძინებელში შევიდა ცოლთან... იგი გრძნობდა, სისხლი როგორ აწყდებოდა მაჯებსა და საფეთქლებს. ასეთივე გაშმაგებული რიტმით ცეკვავდა მისი სავარძელიც. შტორის ზოლებიანი ჩრდილი კედელზე ირწეოდა. აქ როგორ მოიკრებს გონებას კაცი ან რას მოიფიქრებს... ვთქვათ და, მოვიდა პატრული, იკითხა, აქ ვინ ცხოვრობსო. ის მშვიდად უპასუხებს: მე და ჩემი ოჯახი. ისინი გასინჯავენ საბუთებს და...

– მილე, მილე! – ცოლმა დაუძახა ხმადაბლა, მაგრამ მკვახედ. კაცმა დაინახა, თითქოს ნადირმა თავი დააღწია ხაფანგსო... ყრუ ხმა ჰქონდა, ნამტირალევი, მაგრამ მტკიცე. ასეთი ხმით წარმოთქვამენ ძნელად სათქმელს, მაგრამ წინასწარ მოფიქრებულ სიტყვებს:

– მილე! შენ თუ არ ეტყვი, წადიო, მე პოლიციაში დავრეკავ და ვაცნობებ, რომ ჩვენთან იმყოფება ესა და ეს... მორჩა და გათავდა! მე ჩემს ბავშვებს...

ინჟინერი შეშინებული წამოხტა და უნებურად უბიძგა ქალს, უბიძგა უღონოდ, მაგრამ გაბოროტებით... ცოლი უკან-უკან იხევდა. ასე მივიდნენ ბავშვების ოთახამდე. ქალმა იდაყვით გააღო კარი. ქმარმა ხელი ჰკრა და ოთახში შეაგდო. კარი მიხურა, გასაღები ორჯერ გადაატრიალა. სულმოუთქმელად შედგა კართან. შიგნიდან ცოლი ჩურჩულით უხმობდა. კაცი ბარბაცით გავიდა შემოსასვლელში, სინათლე აანთო და დაინახა დაბალ, პატარა მაგიდაზე ტელეფონი იდგა. შეათვალიერა, თითქოს პირველად ხედავდა... გაშტერებული იდგა. სინათლემ შეაძრწუნა. მას ახლა ადამიანის ნახვა მოსწყურდა, უნდოდა შესულიყო მძინარე სტუმართან, დალაპარაკებოდა, რჩევა ეკითხა, დახმარება ეთხოვა, მაგრამ აბა როგორ? ახლა, იმ მდგომარეობაში მძინარის გაღვიძება ნამდვილი უგუნურება იყო.

თავჩაქინდრული, მძიმე ნაბიჯებით დაბრუნდა საძინებელში. ჩრდილებით აჭრელებულ სიბნელეში იგი სუსხმა შეაწუხა. იქვე დაბალ განიერ საწოლზე მიეგდო.

იწვა ასე ხელებში თავჩარგული, გათოშილი და უმოძრაო, თითქოს ძილს გადაჩვეული.

ქათქათა საწოლს ხალიჩად ეფინა ზოლებიანი ჩრდილი.

ბავშვების ოთახის ჩაკეტილ კარს მიღმა ჩამიჩუმი არ ისმოდა.

(თარგმნა *ნორა ხომერიკმა*)

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი თამაზ ჭილაძის მოთხრობიდან „შუადღე“:

დასასვენებელი სახლის აივანზე მე და ცოტნე ვზივართ. აივანი ზღვას გადაჰყურებს. ზღვა მზეზე თუნუქივით ბრწყინავს. ჰორიზონტზე თეთრი გემი ბოლავს. „გემი საათის ისარივით ნელა დადის“, – ვფიქრობ მე. ცოტნე დუმს. ეტყობა, რაღაც უნდა მითხრას და ვერ კი გადაუწყვეტია. მე და ცოტნე ერთ ოთახში ვცხოვრობთ. ცოტნე ჟურნალისტია, რომელიღაც გაზეთის რედაქციაში მუშაობს. ცურვა არ იცის და ძალიან რცხვენია. ორი კვირაა, რაც აქ არის და მზე სრულებით არ მოჰკიდებია. ვეუბნები, ცურვას გასწავლი-მეთქი. სიხარულით მთანხმდება, მაგრამ ერთი პირობით,

თუ უთენია ვამეცადინებ, როცა პლაჟზე კაციშვილი არ არის. მე პირობა, რა თქმა უნდა, მახსოვს, მაგრამ ცოტნეს დილით ვერაფრით ვერ ვაღვიძებ.

– გუშინ ქარიანი დღე იყო, ამბობს ცოტნე.

– მაგარი ქარი იყო...

– ზღვა ღელავდა... ძალიან ღელავდა...

– ამისთანა ღელვა დიდი ხანია არ მინახავს...

– გუშინ საუზმის მერე პლაჟზე ჩავედი... ისე...

– მერე?

– პლაჟი ცარიელი იყო... ასეთ ღელვაში ვინ გამოვიდოდა... ცოტა გავიარე და უცებ ვიღაცის კივილი მომესმა: „ცოტნე, ცოტნე!“. აშკარად მე მეძახდნენ. მივიხედე, მოვიხედე, ნაპირზე არავინ არ იყო. „ცოტნე!“ – ეს უკვე განწირულის კივილი იყო. უცებ ლენა დავინახე, ჩვენი დერეფნის ბოლოს რომ ცხოვრობს, ქერათმიანი... ის ნაპირთან ახლოს ტალღებს ებრძოდა, ვერაფრით ვერ ამოდიოდა ზღვიდან. მაშინვე ზღვასთან მივირბინე, მაგრამ უეცრად რაღაცამ თოკივით მომქაჩა და ერთ ადგილზე გამაქვავა: ცურვა რომ არ იცი? ლენა კიოდა, მეძახდა, ხელებს ჩემსკენ იშვერდა. ის იყო საშინლად მარტო... ეს იყო სიმარტოვე, სასოწარკვეთილი სიმარტოვე... ეს მერე ვიფიქრე, მაშინ აზროვნების უნარი დაკარგული მქონდა. ვერც უკან გამოვიქეცი, რომ ვინმესთვის დამეძახა... ლენასი მრცხვენოდა. საკვირველია, თუმცა ვერაფერს ვშველოდი. გაქცევა მაინც მრცხვენოდა... მეგონა, გაქცეულს რომ დამინახავდა, დაიხრჩობოდა... არადა ჩემს თვალწინ იხრჩობოდა... მერჩივნა, მოვმკვდარიყავი... ასე ვიყავით ერთმანეთს შეჩერებულნი. „ცოტნე! ცოტნე! ცოტნე!“ – კიოდა ლენა. კი არ კიოდა, თითქოს ქვებს მესროდა. ქვები ჩემს ცარიელ სხეულს ავსებდნენ და მის კივილზე რატომღაც ვპასუხობდი: „ქვები... ქვები...“. მერე ვიღაცა მოვარდა, წყალში გადახტა და ლენა ამოიყვანა. ლენა სილაზე დააწვინეს. მთელი ტანი გალურჯებოდა. მიყურებდა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. წუხელ კინაღამ თავი მოვიკალი...

– შველა შენ ნამდვილად არ შეგეძლო, – ვთქვი ჩუმად.

– მე მაინც უსათუოდ უნდა შევსულიყავი ზღვაში... ის მარტო აღარ იქნებოდა... განა ამ დროს სიკვდილის უნდა შემშინებოდა? ის მარტო აღარ იქნებოდა... ნუთუ არ გესმის, მარტო აღარ იქნებოდა...

– მესმის, – ვთქვი მე.

– შველა მე ნამდვილად არ შემეძლო, მაგრამ მისი იმედის გაცრუების უფლებაც არ მქონდა... იქ იყო ზღვა, მიწა, ცა, მაგრამ ადამიანები იქ არ იყვნენ, ერთადერთი ადამიანი მე ვიყავი... ადამიანი... გესმის?!

– მესმის,– ვთქვი მე.

– არც ერთს არაფერი არ გვესმის, – თქვა ცოტნემ და გაჩუმდა.

გემი ნელ-ნელა დიდდებოდა. ზღვა აღარ ბრწყინავდა. მას ახლა ზუსტად ისეთივე ფერი ჰქონდა, როგორც ცას...

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტები მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტების პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *<u>არ აღემატება 120 სიტყვას,</u>* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ივო ანდრიჩის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ თამაზ ჭილაძის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტების მსგავსება-განსხვავების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებენ ავტორები).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

2.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი“:

გიორგი მოჯამაგირედ დადგა. პირველს დღესვე არჩილმა ვენახში წაიყვანა გიორგი. არჩილი ახალს ვენახს აშენებდა და უნდოდა მიწა ჭანდრაკის ფიცარსავით უჯრა-უჯრად დაეყო და ისე მოერიგებინა ვაზი მწკრივად და ლარზედ. ორი ჭრა კიდეც გაეკეთებინა ასე და ვაზის რქა ჩაეყარა. ძალიან მოსწონდა არჩილს ესე უჯრა-უჯრა ჩარიგებული ვაზი. გიორგის რომ დაანახვა ეს თავისი ახალშენი, თავმოწონებით უთხრა:

– როგორ მოგწონს? ერთი შეჰხედე გინდა აქედამ, გინდა იქიდამ, სულ ლარსა და მწკრივზეა ჩარიგებული.

– ეგრე ჩარიგება ვაზისა კარგია: მზე და ნიავი თანაბრად დაუვლის ყველგან. ამას წინად, – სამი-ოთხი წელიწადი იქნება, – გავიგე, კახეთში ეგრე უკეთებია ვენახი ერთს თავადიშვილს. გული არ დამიდგა, მინამ არ წავედი და არა ვნახე. ვნახე და მომეწონა. საკეთებლადაც უფრო სამხროა, კარგია ეგრე.

– ძლივს ერთი კაცი არა ვნახე ამ სოფელში, რომ მომიწონა ნაკეთები.

– ნაკეთებს კი ვერც მე მოგიწონებ.

არჩილი შეჰფიცხდა და აიტკიცა.

– რატომ, ბიჭო?

– იმიტომ, რომ აქ ფერდობია...

– ვაი შენ, ჩემო თავო! – გააწყვეტინა სიტყვა არჩილმა. – შენც ბევრი არა გცოდნია-რა, ჩემო გიორგი. ბიჭო-და, საქმეც ის არის, რომ ფერდობია და მზის გული ფერდობიცა.

– განა მაგას ვიწუნებ? მზისგულ ფერდობს რა სჯობია ვენახისათვის...

– მაშ რას ამბობ?

– აქ ჩვენში ხომ ნამი არ იცის, როგორც კახეთში, და მშრალი მიწაც არის. ჩვენში ვაზს რწყვა უნდა. რაც გინდ მაგრად იდგეს კაცი, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოახვედროს ვენახს წყალი, თორემ ვაზი ვერ მოიხდენს. პირველში ხომ კარგა წყალს მოინდომებს და მოინდომებს, მინამ რქა იხეირებს.

– მერე რა გინდა სთქვა?

– მერე ისა, რომ ეგრე სისწვრივ ვაზი რომ ჩაგიყრია ამ ფერდობის გარდიგარდმოდ, როგორ-ღა მოატარებ ვაზებში წყალს. წყალი აღმა ხომ ვერ ივლის?

– მაშ, შენი ფიქრით, ლარი აღმა-დაღმით უნდა დაგვეჭირა თავთავქვესაკენ, რომ ზემოდან ქვევით ედინა წყალს?

– წყალი მაშინ, რა თქმა უნდა, კარგად ივლიდა, მაგრამ არც ეგ ივარგებდა. წყალი რუისა თუ ნიაღვრისა, მაღლიდამ დაქანებული, ზემოდამ სულ ქვევით ჩაიტანდა მიწას, ჩაჭრეცხდა ვენახსა, ზემოპირის ვაზს სულ ძირს გამოუხრამავდა.

– მაშ როგორ უნდა ყოფილიყო?

– ეგრევ, მაგრამ ლარი სწორეზე კი არ უნდა წაგეღო, ცოტა გეზად უნდა დაგეჭირა, რომ წყალს საკმარისი თავთავქვე ჰქონოდა და მიწაც ზევიდან ქვევით არ ეზიდნა. აგერ რუიც ხომ მარტო გარდი-გარდმოდ ემხრობა ამ ახალშენსა! აქედამ ცოტა გეზ-გეზად თუ არ წავიდა თავთავქვესაკენ, სხვა გზით წყალს ვენახი არ მოიხდენს. ეხლა კი წყალს ავალა პირაღმა აქვს. როგორ უნდა იდინოს? აბა გაიხედე!..

არჩილმა გაჰხედ-გამოჰხედა, ხან აქედამ გაუსისწვრივა თვალი, ხან იქიდამ, ხან აქედამ მოუდგა, ხან იქიდამ და იმისთანა ვერა იპოვნა-რა, რომ ხელი ჩაეკიდნა და გიორგი გაემტყუნებინა.

– ბატონო-და, მაგას რა დიდი ამბავი უნდა, – უთხრა გიორგიმ, რაკი შეამჩნია, რომ არჩილი ჰო-არაობაშია. – აი, თუნდა ეხლავ მოვუგდებ წყალს და მაშინაც არ გამოჩნდება!

– საჭირო არ არის. შენ მართალი ხარ, ჩემო გიორგი! კიდევ კარგია, ეხლა დროზედ შემომესწარ, ჯერ მინამ მარტო ორი ჭრა ჩამიყრია და გასწორება ადვილია, თორემ, შენი მტერი!.. აქაურს გლეხკაცობას სიცილად არ ვეყოფოდი, თუნდ ხარჯსაც აღარ შევშინებოდი.

არჩილი შინ ამოვიდა და ყველაფერი თავის დას უამბო. ბევრი იცინა დამ, რომ არჩილს ესეთი უეცარი წკიპურტი მოჰხვედრია.

– ეგ რა მოგსვლია?! – ჰკითხა კესომ და გულიანად ჩაიხარხარა. ჩაიხარხარა, მაგრამ წყენა დაცინებისა მოატკბო დამმურის სიყვარულის კილომა: – ეგ რა მოგსვლია?

– ის, ჩემო კარგო, რაც თავმოწონებულს არცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის. ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, – ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩავკიდეთო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც სასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.

– შენა და წიგნების ეგრე აბუჩად აგდება?

– მე აბუჩად წიგნებს კი არა, ჩემს თავს ვიგდებ: არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭ-ქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არ გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. რომ ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია. ეს ტყუილი თაკილი...

– ტყუილმა ბრძნობამ იცის, – დაატანა კესომ და ჩამოართვა სიტყვა ღიმილით.

– და უვიცობის ცუდმედიდობამ!.. – დაუმატა არჩილმა.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობიდან „ლამბალო და ყაშა“. *სპარსეთში სამუშაოდ წასული ქართველი ექიმი მოგვითხრობს:*

ფეხმარდი ქურთული რახსი ცხენი მყავდა. ალიონზე ავდგებოდი, ცხენს მოვაჯდებოდი და ორიოდე საათით ხან დილმანისკენ წავიდოდი, ხან გიულმანხანესკენ გავისეირნებდი, ხან კიდევ სოუჯბულაღის გზას დავადგებოდი.

ერთხელ დიდ გზას გადავუხვიე და მოლა თოჯასარის მთის კალთებზე გავედი.

ერთ ფერდზე ვირი და ორი კაცი დავინახე. დავაკვირდი და მაშადი იზათი და ლამბალო ვიცანი.

– ხოშ-ხოშ! - წყნარად იძახის იზათი.

ფერდობის გარდიგარდმო ვირი ნელი ნაბიჯით მიდის. ზედ ხურჯინი ჰკიდია. ლამბალო იმ ხურჯინიდან დროგამოშვებით თეთრ ქვებს ილაგებს კალთაში და ვირის ნაკვალევზე ჰყრის. მე ხის ძირში ვდგევარ და ვუთვალთვალებ.

– საბარ ხეირ ოლსუნ, მაშადი იზათ! – დავუძახე ბოლოს შორიდან. მიცნეს, ვირი გააჩერეს და თავქვე დაეშვნენ...

– საბარ ხეირ, აღა! – დილა მშვიდობისა, ბატონო, საიდან? აქ რამ მოგიყვანათ? როგორ ბრძანდებით?

ერთმანეთი მოვიკითხეთ. ისე დამხვდნენ, როგორც დიდი ხნის უნახავ ძმას. მერმე ვეკითხები:

– თქვენ რაღას აკეთებთ აქ?

– რუ გაგვყავს.

– წყალი? ეგ ვირი და კენჭები რაღად გინდათ?

– აი, მობრძანდით და ნახეთ.

ავედი და ვნახე.

– ეს ქვები არხის კვალია. – მეუბნება მაშადი იზათი. – არხი სწორედ ამ კვალზე უნდა გავჭრათ.

– სადაური კვალია? – მიკვირს მე. – ვირი თავის ნებით მიდის. ან აღმა აუხვევს, ან დაღმა ჩამოვა.

მაშადი იზათი იღიმება.

– არა, აღა, ვირი სწორედ მიდის. მხოლოდ ქვების ტვირთს იგი ოდნავ თავდაღმა მიჰყავს. მეც ეს მინდა.

არ დავუჯერე.

– შეუძლებელია, რომ ვირი არ შესცდეს. თუ ვირი ძლიერ დაქანდა, მანძილს წააგებ. თუ ამ პირუტყვმა ერთი ნაბიჯი მაინც გადასდგა თავაღმა, მაშინ წყალი ვერ ავა.

მაშადი იზათი ისევ ტკბილად იღიმება.

– არა, აღა, ვირი არ შესცდება. ასე მუშაობდნენ სპარსელები მაჰმადისა და შაჰ აბასის დროსაც, ასე მუშაობდა მამაჩემიც. ასე ვმუშაობ მეც. არასოდეს ერთი გოჯითაც არ შევმცდარვართ. ათიოდე გრძელი არხი მაქვს გაყვანილი. ყველგან ისე მიდის წყალი, რომ მოურწყავი ერთი ადლიც არ დაკარგულა.

მინდორზე გავედით. ვირი შესდგა. ლამბალო ორმოციოდე ნაბიჯით გაიქცა წინ და ერთ ალაგზე სარი ჩაარჭო. მაშადი იზათმა ფეხთ გაიხადა, ვირი გვერდით მოიყენა და იმის ნაფეხარზე გულაღმა დაწვა, ფეხები და პირი ლამბალოსკენ გაიშვირა.

ცხენზე ვზივარ და უცნაურ ჰიდრავლიკებს შევცქერი. იზათმა ფეხის ცერა თითები ერთმანეთს მიაბჯინა და დარჩენილ ჭუჭრუტანაში გაიხედა. იზათის თვალი პირველი წერტილია, ეს ჭუჭრუტანა – მეორეა, ლამბალოს სარი – მესამე. მე კი ჩემთვის ვფიქრობ:

„გაკოტრდა ევროპული გეოდეზიაც და ჰიდროტექნიკაც“.

იზათი ლამბალოს რაღაცას ანიშნებს ხელით. ლამბალოც ხან წინ წამოვა, ხან მარცხნივ მიუხვევს, ხან მარჯვნივ მიდგება. ბოლოს, როგორც იყო, იზათმა საძებნელი წერტილი იპოვნა, წამოდგა და იმ სარისკენ წავიდა.

– ხოშ-ხოშ! – უთხრა ვირს და თან გაიყოლა.

მეც ავედევნე.

გაგონილი მქონდა, რომ უბრალო სპარსელები ევროპელებს ირიგაციის საქმეში პროფესორებად დაუდგებიანო. ურმიაში სპარსელი მირაბის საკვირველი საქმიანობა მქონდა ნახული. უსაათოდ მუშაობდა, მაგრამ ისე ანაწილებდა წყალს, რომ არავის ერთი წუთითაც არ დაუგვიანებდა და არც ერთ წვეთს არ დააკლებდა, არც მოუმატებდა. მზე და ალღო მათი საათი იყო. წყლის კანონდებულება და განაწილების სისტემა ბაბილონის მეფის ჰამურაბისაგან შეითვისეს. მაგრამ არ მეგონა, რომ უსწავლელი თათარი ასეთი მარტივი გეოდეზიური იარაღით – ფეხის თითებით და ვირის ნაბიჯით – ნიველირის მაგივრობას გასწევდა და ურჩ წყალს ასე ადვილად დაიპყრობდა.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტები მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტების პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *<u>არ აღემატება 120 სიტყვას,</u>* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ილია ჭავჭავაძის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ მიხეილ ჯავახიშვილის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;

- იმსჯელეთ ამ ტექსტების მსგავსება-განსხვავების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებენ ავტორები).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **30.** თუ აბიტურიენტის ნაშრომი მოცემული ტექსტის პერიფრაზია, თითოეული მითითება მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით არის შესრულებული ან ტექსტი მთლიანად არაადეკვატურადაა გაგებული (ანდა გაურკვეველი კალიგრაფიის გამო ნაშრომის წაკითხვა ვერ ხერხდება), ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.***

დავალების ესა თუ ის მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ **ერთი-ორი** წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ნაშრომი, რომლის მოცულობაც 150 სიტყვას არ აღემატება, VIII, IX და X კრიტერიუმებით არ შეფასდება!

I კრიტერიუმი

№	*მოცემული ტექსტის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	ტექსტი *ღრმადაა* გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	**4**
2.	ტექსტი *ადეკვატურადაა* გაგებული.	**3**
3.	*ერთ* შემთხვევაში შეინიშნება ტექსტის არაადეკვატური გაგება.	**2**
4.	*ერთზე მეტ* შემთხვევაში ტექსტი *არაადეკვატურადაა* გაგებული.	**1**
5.	ტექსტი *მთლიანად არაადეკვატურადაა* გაგებული.	**0 ნაწერი აღარ სწორდება**

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი უპასუხებს *სამივე* მითითებას და *კარგადაა ორგანიზებული,* აბზაცები *სწორადაა* გამოყოფილი.	**3**
2.	ნაშრომი უპასუხებს *სამ* მითითებას, თუმცა ტექსტი არ არის კარგად ორგანიზებული ან/და ზოგან აბზაცები *არასწორადაა გამოყოფილი;* ან ნაშრომი უპასუხებს *ორ* მითითებას და *კარგადაა* ორგანიზებული, აბზაცები *სწორადაა* გამოყოფილი.	**2**
3.	ნაშრომი უპასუხებს *ორ* მითითებას, თუმცა *ტექსტი არ არის* კარგად ორგანიზებული ან/და ზოგან აბზაცები *არასწორადაა გამოყოფილი;* ან	**1**

	ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	
4.	ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას, თუმცა ***ტექსტი არ არის*** ორგანიზებული ან/და აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	**0**

III კრიტერიუმი

№	*დავალების (მითითებების) ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალება ***ადეკვატურად*** არის გააზრებული, არ არის საკითხიდან გადახვევის არც ერთი შემთხვევა (ისეთი ფაქტის, მოსაზრებისა თუ ციტატის დამოწმება, რომლებიც განსახილველ საკითხს არ უკავშირდება).	**2**
2.	დავალების პირობა ძირითადად ***ადეკვატურად*** არის გააზრებული, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ***არაადეკვატური*** გაგება ან არის საკითხიდან გადახვევის ორიოდე შემთხვევა (ისეთი ფაქტის, მოსაზრებისა თუ ციტატის დამოწმება, რომელიც განსახილველ საკითხს არ უკავშირდება).	**1**
3.	დავალების პირობა ***არაადეკვატურადაა*** გააზრებული.	**0**

IV კრიტერიუმი

№	*მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***სამივე*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** (არგუმენტირებულია) და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით.	**6**
2.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	**5**
3.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**4**
4.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	**3**
5.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ***მეორე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**2**

6.	***სამივე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	**1**
7.	***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ან მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ანდა ***ერთი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული.	**0**

V კრიტერიუმი

№	*ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***დამაჯერებელია, გამოყოფილია არაერთი*** მხატვრული საშუალება და დამოწმებული მაგალითები ***სწორია.***	**3**
2.	მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***დამაჯერებელია, გამოყოფილია არაერთი*** მხატვრული საშუალება, თუმცა ერთ შემთხვევაში მაგალითი ***არასწორია*** ანდა მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***არადამაჯერებელია,*** თუმცა ***გამოყოფილია არაერთი*** მხატვრული საშუალება და დამოწმებული მაგალითები ***სწორია.***	**2**
3.	ნაშრომში არის მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, მაგრამ ***არ არის*** გამოყოფილი ***არცერთი*** მხატვრული საშუალება; ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, მაგრამ ***გამოყოფილია რამდენიმე*** მხატვრული საშუალება, თუმცა დამოწმებულ მხატვრულ საშუალებათაგან ერთი ***არასწორია***.	**1**
4.	ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, გამოყოფილი მხატვრული საშუალებები ***არასწორია*** ან ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.	**0**

VI კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	**3**
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის	**2**

	დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	0

VII კრიტერიუმი

№	*ფაქტობრივი სიზუსტე*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	0

VIII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის ***შესაფერისი სტილი,*** გვხვდება ორიოდე სტილისტიკური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტადაა*** გამოხატული, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება რამდენიმე სტილისტიკური ხარვეზი.	2
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ***ლექსიკა მწირია,*** გვხვდება არაერთი სტილისტიკური ხარვეზი.	1
3.	თხზულება სტილისტიკურად ***გაუმართავია*** (ზოგიერთი მონაკვეთის აზრის გაგება ჭირს).	0

IX კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია-ორთოგრაფია და სინტაქსი*	*ქულები*
1.	არ არის ***ორზე მეტი*** შეცდომა.	3
2.	არ არის ***ოთხზე მეტი*** შეცდომა.	2

3.	არ არის ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	**1**
4.	დაშვებულია ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	**0**

X კრიტერიუმი

№	*პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***სამზე მეტი*** შეცდომა.	**2**
2.	არ არის ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	**1**
3.	დაშვებულია ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	**0**